

შპს პროპერი დი ენდ ელი

შპს პროპერი დი ენდ ელი

2024 წლის

ფინანსური ანგარიშგება


შინაარსი

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.....	4
2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	5
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო.....	6
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.....	7
4. შემოსავალი.....	7
5. სხვა შემოსავალი	7
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	8
7. ძირითადი საშუალებები.....	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	9
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	9
11. გადასახადები.....	10
12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.....	10
13. დაკავშირებული მხარეები.....	12
14. მიმდინარე სესხები.....	13
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	
(ა) შემოსავალი.....	13
(ბ) სხვა ხარჯები.....	14
(გ) ძირითადი საშუალებები.....	14
(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	6,253,275	6,216,437
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,381,514)	(4,232,726)
საერთო მოგება		1,871,761	1,983,711
სხვა შემოსავალი	5	24,798	246,909
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(663,214)	(734,924)
ცვეთა და ამორტიზაცია		(174,117)	(126,230)
მიწოდების დანახარჯები		(59,422)	(74,675)
სხვა შემოსულობები / (ზარალი)- წმინდა		(192,731)	(57,343)
საოპერაციო მოგება		807,075	1,237,448
ფინანსური შემოსავალი		0,00	0,00
ფინანსური ხარჯი		(275,516)	(196,029)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		531,559	1,041,419
მოგების გადასახადის ხარჯი		(9,113)	(18,427)
მიმდინარე პერიოდის მოგება		522,446	1,022,992

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 სექტემბერს დამისი სახელით ხელი მოაწერეს:


დირექტორი


მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური

ანგარიშების გვერდებზე 7-15.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	01/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	5,938,828	5,496,925	3,548,628
არამატერიალური აქტივები		850	1,228	1,222
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,939,678	5,498,153	3,549,850
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	794,935	1,069,110	838,046
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	307,813	463,814	244,099
მარაგები		3,287,028	3,041,647	3,542,193
სულ მიმდინარე აქტივები		4,389,776	4,574,571	4,624,337
სულ აქტივები		10,329,454	10,072,724	8,174,188
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		5,799,120	5,329,415	4,412,447
სულ საკუთარი კაპიტალი		5,841,560	5,551,377	4,618,987
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,593,018	3,714,194	2,255,496
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	894,876	779,362	1,127,047
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		0.00	27,790	172,658
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		894,876	807,152	1,299,705
სულ ვალდებულებები		4,487,894	4,521,347	3,555,201

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



დირექტორი



მთავარი ბუღალტერი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

შპს პროპერო დი ენდ ელი

2024 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	206,540	4,412,447	4,618,987
სხვა სრული შემოსავალი		1,022,992	1,022,992
გადახდილი დივიდენდი		(104,418)	(104,418)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	84,458		84,458
კაპიტალის შემცირება	(69,035)		(69,035)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(1,606)	(1,606)
2023 წლის 31 დეკემბერი	221,963	5,329,415	5,551,377
სხვა სრული შემოსავალი		522,446	522,446
გადახდილი დივიდენდი		(51,107)	(51,107)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	97,913		97,913
კაპიტალის შემცირება	(277,434)		(277,435)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(1,635)	(1,635)
2024 წლის 31 დეკემბერი	42,440	5,799,120	5,841,560

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:


დირექტორი


მთავარი ბუღალტერი

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრისთვის ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს პროპერი დი ენდ ელი რეგისტრირებული არის "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2007 წლის 22 ოქტომბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გუდაუთის ქუჩა, პარფიუმერიის ფაბრიკის მიმდებარედ. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 206311105;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამშენებლო სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო მასალების და სხვადასხვა ინვენტარის იმპორტი და დისტრიბუცია ადგილობრივ ბაზარზე. მის დამატებით საქმიანობას 2020 წლიდან წარმოადგენს მშენებლობა, რომელიც განხორციელდა ერთჯერადი პროექტის ფარგლებში. ხოლო 2023 წლიდან ახალი ავტომობილების იმპორტი და რეალიზაცია. კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ლაშა ჯიხვაშვილი	50%	50%
დეა ჯაში	50%	50%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2024	31 დეკ 2023	01 იან 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9306	2.9753	2.8844

4. შემოსავალი

ლარი	2024წ.
შემოსავალი რკინა-კავეულის რეალიზაციიდან	5,654,172
შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0,00
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	402,973
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	196,130
სულ შემოსავალი	6,253,275

5. სხვა შემოსავალი

ლარი	2024 წ.
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0,00
ძირითადი საშუალების აფასება	0,00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	24,798
სულ შემოსავალი	24,798

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2024 წ.
შრომის ანაზღაურება	530,945
იჯარის ხარჯი	27,805
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	6,013
დაზღვევა	15,929
პროფესიული მომსახურება	26,200
სხვა საერთო ხარჯები	56,322
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	663,214

7. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
მიწის ნაკვეთი	2,035,127	90,000	0,00	0,00	2,125,127
შენობა ნაგებობა	3,095,382	337,211		(99,124)	3,333,469
სატრანსპორტო საშუალებები	231,657	244,683	(164,608)	(59,667)	252,065
ოფისის აღჭურვილობა	12,016	0.00	0,00	(7,700)	4,316
ავეჯი და სხვა ინვენტარი	18,631	108,356	0,00	(7,248)	119,739
იჯარით აღებული ქონების ეთილმოწყობა	104,114	0,00	0,00	0,00	104,114
სულ ძირითადი საშუალებები	5,496,925	780,250	(164,608)	(173,739)	5,938,828

არამატერიალური აქტივები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
პროგრამული უზრუნველყოფა	1,228	0,00		378	850
სულ არამატერიალური აქტივი	1,228	0,00		378	850

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024წ.
სავაჭრო მოთხოვნები	649,574
გადახდილი ავანსები	128,925
თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	6,831
მისაღები პროცენტები	3,909
ავანსად გაცემული ხელფასი	5,696
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	794,935

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წ.
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	856,814
მიღებული ავანსები	13,698
ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ	24,103
ვალდებულება თანამშრომლის მიმართ	261
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	894,876

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 307,813 ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის: საბანკო ანგარიშებზე 307,805 ლარი ხოლო სალაროში 8 ლარი.

11. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო საბაზინო ანგარიშზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უფიქსირდება საგადასახადო ვალდებულება 24,103 ლარი.

12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iv)).

(ი) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები. დამფუძნებელი ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომპანიისთვის საკრედიტო რისკი საკმაოდ მაღალია. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები.

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად, თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა რკინა-კავეულის, სამშენებლო მასალების შეძენა რეალიზაცია. კომპანია პროდუქციის შეძენას ახდენს იმპორტის საშუალებით. თუმცა საქონლის ფასების ცვალებადობა საერთაშორისო ბაზარზე და ქვეყანაში არსებული არამყარი სავალუტო კურსი გავლენას ახდენს კომპანიაზე. აქედან გამომდინარე სავალუტო რისკი არსებითია კომპანიისთვის. სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის გადასახდელ ვალდებულებებზე.

13. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2024	2023
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან		
- სხვა დაკავშირებული მხარე	2,166,356	1,331,080
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		
- სხვა დაკავშირებული მხარე	-	-
ფინანსური შემოსავალი		
- სხვა დაკავშირებული მხარე	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		
- სხვა დაკავშირებული მხარე	-	-
ფინანსური ხარჯი		
- მფლობელები	-	-
სულ ბრუნვა დაკავშირებულ მხარეებთან:	2,166,356	1,331,080

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
- სხვა დაკავშირებული მხარე	361,415	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
- სხვა დაკავშირებული მხარე	(33,762)	(236,788)
სესხები		
- სხვა დაკავშირებული მხარე	(0,00)	(0,00)
- მფლობელები	0,00	0,00
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან:	327,653	(236,778)

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2024	2023
- შრომის ანაზღაურება		
- მენეჯმენტი	122,704	85,576
სულ ანაზღაურება:	122,704	85,576

14. მიმდინარე სესხები

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება შეადგენდა 3,593,018 ლარს. კომპანიას სესხი მიღებული აქვს ბაზარზე არსებული საფინანსო ორგანიზაციებისგან.

სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებით: შენობა ნაგებობებით და მიწებით.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, დამატებითი საქმიანობა არის მშენებლობა და ახალი ავტომობილების იმპორტი და რეალიზაცია.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს პროპერი დი ენდ ელი 2025 წლის 13 მაისს გახდა შპს ბრაუნი კონსტრაქშენის 50 % იანი წილის მფლობელი. შპს ბრაუნი კონსტრაქშენი წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას.